ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ირაკლი ხელაძის

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე

გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის N26-113 დადგენილების დანართი N2-ით დამტკიცებული წესის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2021 წლის დეკემბრიდან ვარ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს VII მოწვევის წევრი, ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე , ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი 2023 წლის დეკემბრის ჩათვლით, სარევიზიო კომისიის წევრი დღემდე. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი და ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი.

ინფორმაცია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში და კომისიების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ.

2023 წლის ნოემბრიდან დღემდე მონაწილეობა მივიღე ქ.თბილისის საკრებულოს 14 სხდომაში, რომლის დროსაც მიღებული იქნა 113 დადგენილება და 675 განკარგულება. მონაწილეობა მივიღე ასევე საკრებულოს ბიუროს 24 სხდომაში. აღნიშნულ სხდომებზე განხილული და მიღებული გადაწყვეტილებები მოიცავდა ისეთ საკითხებს, რომლებიც განხილული იქნა ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, ასევე სხვა კომისიების სხდომებზეც.

მონაწილეობა მივიღე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის 2 სხდომაში, სადაც განვიხილეთ 6 საკითხი.

მონაწილეობა მივიღე სარევიზიო კომისიის 8 სხდომაში და განივიხილე 16 საკითხი.

მონაწილეობა მივიღე ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს 13 სხდომაში, განვიხილეთ 31 საკითხი.

2023 წლის 7 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე ჩატარდა ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 24 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა კომისიის კომპეტენციაში შემავალი სხვადასხვა საკითხები (საერთო ჯამში 334 საკითი):

ქონება

2023 წლის ნოემბრიდან დღემდე კომისიის მიერ შესწავლილია სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან შემოსული 324 პროექტი.

საცხოვრებელი ფართების დაკანონება.

ქალაქის მერისა და თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ვაგრძელებთ საცხოვრებელი ფართების დაკანონებას იმ მოსახლეობისთვის, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობენ დაკავებულ ფართებში და ამ პერიოდში არ ქონდათ შესაძლებლობა შეეცვალათ საცხოვრებელი პირობები.

განვიხილეთ ქალაქ თბილისში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების 138 განკარგულების პროექტები.

დაახლოებით 173 ოჯახს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ უძრავი ქონებით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცათ შესაბამისი ქონება (საცხოვრებელი ფართი, საერთო ჯამში დაახლოებით 13868,53 კვმ).

უნდა აღინიშნოს რომ აღნიშნული პროექტების განხორციელება დაიწყო 2017 წლიდან და დღემდე საერთო ჯამში დაკმაყოფილდა 2950 ოჯახი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა, რაც კომისიის მიერ იქნა შესწავლილი არის შემდეგი: კოოპერატიული და დაუსრულებელი ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დასახმარებლად მიღებული გადაწყვეტილებები.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებით ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

2024 წელს დაიწყო 6 ახალი სამშენებლო პროექტი(გამოცხადდა 6 ინტერესთა გამოხატვა) კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაუთავრებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილების მიზნით, ალტერნატიული უძრავი ქონებით/საცხოვრებელი ფართით უკბე დაკმაყოფილდა კოოპერატიული ბინამშენებლობის დაუმთვარებლობით დაზარალებული 392 პირი. ხელშეკრულების გაფორმებით ეტაპზეა 1 პროექტი, სადაც დამატებით კმაყოფილდება 50 მდე პირი (საერთო ჯამში 450 პირი)

მ.შ პროექტები :

- ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, N01.17.02.001.680 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 57 573 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგისთვის“ (ს/ნ 404566947), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ **(დაკმაყოფილდა 168 ოჯახი)**

- ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების II მიკრორაიონის კორპუსი N27ა-ს მიმდებარედ, N01.10.06.006.352 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3605 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტისათვის“ (ს/ნ: 404438649), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“. **(დაკმაყოფილდა 25 ოჯახი)**

- „ქალაქ თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბნის IIა, კორპუსი N27-ის მიმდებარედ, N01.17.06.014.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7 035 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი

უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ახალი ვაზისუბნისთვის“ (ს/ნ: 405675899), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ **(დაკმაყოფილდა 46 ოჯახი)**

- ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ: 405653859), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ. **(დაკმაყოფილდა 118 ოჯახი)**

- ქალაქ თბილისში, ეთერ ბოცვაძის ქუჩა N8-ში მდებარე, N01.13.01.007.085 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6605 კვ. მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ლისი თაუერსისთვის“ (ს/ნ: 405535915), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ. **(დაკმაყოფილდა 35 ოჯახი)**

ქალაქ თბილისში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაცემის პროექტები. (ჯამში 61 პროექტი)

კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა განკარგულების პროექტებს:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და კომპანიებს შორის გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

თვითმმართველის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე ხელშეკრულებაში ცვლილებების/პირგასამტეხლოსაგან განთავისუფლების შესახებ.

იმ ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მონაცვლეობას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში (მიწის ნაკვეთები), რომელთაც ახალი გენერალური გეგმის შესაბამისად შეეცვლათ ზონალური სტატუსი და შეეზღუდათ მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება.

ბიუჯეტი

განვიხილეთ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის წლიური და 2024 წლის 3 და 6 თვის ბიუჯეტის შესრულება.

დადგენილების პროექტები:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - 2 პროექტი.

ქალაქ თბიულისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესახებ“

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. 4 პროექტი (მიღებული იქნა 4 დადგენილება).

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 1 826 328 ლარს. 2024 წლის ბიუჯეტი დავიწყეთ 1 783 354,7 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 194195.4 ათასი ლარით მეტია. წლის განმავლობაში 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 275000,9 ათასი ლარით და ბოლო ცვლილებების გათვალისწინებით , ბიუჯეტის მოცულობამ შეადგინა 2 058 355,6 ათას ლარი.

ბიუჯეტში ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პრიორიტეტებზე:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა.
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება.
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება.
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- განათლება
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა.
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.
- ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

კაპიტალურად შეკეთდა აკაკი წერეთლის გამზირი, წყნეთის გზატკეცილი, უნივერსიტეტი-ბაგების დამაკავშირებელ ხიდთან მისასვლელი გზა.

დაფარულია 160 ერთეული 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის შესაძენად, 2023 წლის 15 ივნისს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „თეგეტა მოტორს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ვალდებულების ნაწილი და 2024 წლის 16 მაისს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „თეგეტა მოტორსს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში დამატებით 40 ერთეული CNG-ის ძრავზე მომუშავე 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის შეძენაზე, ხელშეკრულებით ნაკისრი საავანსო ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში ფაქტიურად მოწოდებული იქნა 75 ერთეული, ხოლო დარჩენილი ნაწილის მოწოდება მოხდება ეტაპობრივად წლის ბოლომდე.

თბილისის მასშტაბით განხორციელდა ავარიული საცხოვრებელი სახლების გამაგრება–გაძლიერების სამუშაოები დაახლოებით 30 ობიექტზე. მიმდინარეობს და გრძელდება სამუშაოები კიდევ რამოდენიმე ობიექტებზე.

გრძელდება მსხვილი არეალების რეაბილიტაციის მიმართულებით, პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების რეაბილიტაციის ფარგლებში, გრძელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები: წინამძღვრიშვილის N1-ზე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის, ორბელიანის N19-23, დარეჯანის სასახლის, ნარიყალას ციხის და სხვა სარეაბილიტაციო ობიექტებზე;

ისტორიული სადარბაზოების რეაბილიტაციის ფარგლებში დასრულდა აბო თბილელის ქ.N6, ბეგლარ ახოსპირელის გასასვლელი N3/7-სა და რომის ქ.N4-ში მდებარე სადარბაზოების მხატვრობის სამუშაოები;

მუზეუმების რეაბილიტაციის ფარგლებში გრძელდება აბრეშუმის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

თბილისის განვითარების ფონდის მიერ ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში სამშენებლო და პროექტის ზედამხედველობის სამუშაოები მიმდინარეობს - 4 ობიექტზე, რომელიც ხორციელდება კერძო სექტორის ჩართულობით და მხარდაჭერით: სამგორის რაიონში, ვარკეთილის დასახლება, მასივი 3, კვარტალი 7, კორპუსი 12, მდებარე 1295 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/ნ01.19.20.024.030) არსებული 4 სართულიანი ავარიული კორპუსის ნაცვლად, ახალი 10 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო (მათ შორის, სარემონტო) სამუშაოები, კალოუბნის ქუჩა N18-ში მდებარე 1091 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/ნ01.19.20.017.008)

არსებული 3 სართულიანი ავარიული კორპუსის ნაცვლად, ახალი 10 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო , დავით გამრეკელის ქუჩა შესახვევი I, N6 მდებარე 1100 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/ნ01.10.14.031.021) არსებული 4 სართულიანი ავარიული საცხოვრებელი კორპუსის ნაცვლად ახალი 8 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო (მათ შორის, სარემონტო) სამუშაოები, ვარკეთილის დასახლება მე-3 მასივი, მე-4 კვარტალი, კორპუსი N6-ში (ს/კ: 01.19.20.023.007) მდებარე 4 სართულიანი ავარიული სახლის დემონტაჟის, მის ადგილას ახალი 10 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო (მათ შორის საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობასა და სხვადასხვა სახის დამხმარე ხასიათის სამშენებლო სამუშაოები) სამუშაოები ამასთან, მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები 18 ობიექტზე.

მიმდინარეობს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მე-4 უჯრედის მშენებლობა (გაფორმებულია ხელშეკრულება და სამუშაოების შესრულების ვადად განსაზღვრულია მეოთხე კვარტალი).

გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის სამუშაოები დასრულდა სხვადასხვა მისამართზე. მაგალითად: ვაკის პარკის ახლად შემოერთებული ტერიტორიის; მაიაკოვსკის სახელობის სკვერის, ვაჟა ფშაველას პირველ კვარტალში არსებული პარკის; ქ.თბილისში ზღვის უბნის პარკის და ვარკეთილის IV მიკრო რაინში 414-ე კორპუსის მიმდებარედ არსებული სკვერის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები. ასევე მიმდინარეობს სხვადასხვა მისამართებზე არსებული სკვერების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები.

გაიხსნა ხუთი ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი. თბილისის 12 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობას ჩაუტარდა სრული განახლების სამუშაოები.

გარდა ამისა კომისიის მიერ შესწავლილია მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი 42 წერილი -„ქალაქ თბილისის მინიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ასიგნებების კვარტალური ცვლილებების შესახებ“, რომელიც მხოლოდ ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის პრეროგატივაა.

მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლობის მიერ გაწეული საქმიანობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლობის ოფისის მისამართია - ცოტნე დადიანის N193.

წარმომადგენლობამ ორგანიზება გაუწია მოქალაქეებთან ყოველკვირეულ შეხვედრებს, სადაც პირადად ვეცნობოდით მათ საჭიროებებს. აღნიშნული მიღების ფარგლებში,

პირადად შევხვდი ნაძალადევის რაიონში მცხოვრებ 800-მდე მოქალაქეს. საანგარიშო პერიოდში წარმომადგენლობამ 600-ზე მეტი სხვადასხვა თემატიკის პრობლემა განიხილა. ინფრასტრუქტურული, სატრანსპორტო, იურიდიული და სოციალური საკითხების მოგვარების მიზნით აქტიურად ვთანამშრომლობთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის საქალაქო სამსახურებთან და ნაძალადევის რაიონის გამგეობასთან.

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

წარმომადგენლობა, თავისი კომპეტენციისა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს იმ მოქალაქეთა მხარდაჭერას, რომლებიც სამედიცინო საჭიროებების მოგვარების მიზნით მოგვმართავენ, რისთვისაც კოორდინირებულად მუშაობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის გამგეობასთან და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან, ასევე, სხვადასხვა კერძო ორგანიზაციებსა თუ ამ სფეროს სპეციალისტებთან.

საანგარიშო პერიოდში წარმომადგენლობამ დააყენა 300-ზე მეტი შუამდგომლობა სამედიცინო გამოკვლევასთან, მედიკამენტოზურ და ოპერაციულ მკურნალობასთან დაკავშირებით, ასევე, 300-ზე მეტი შუამდგომლობა მიზნობრივ ფულად დახმარებასთან დაკავშირებით, რომელთა უმრავლესობა დაკმაყოფილებულია. სოციალური სტატუსის მინიჭების, აღდგენის ან სოციალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სერვისების მიღების თხოვნით, წარმომადგენლობაში მოსულ ათობით მოქალაქეს გაეწია კონსულტაცია. აღნიშნული საკითხების მოგვარების მიზნით აქტიურად ვთანამშრომლობთ გლდანი-ნაძალადევის რაიონის სოციალური მომსახურების სააგენტოსთან.

როგორც მაჟორიტარი დეპუტატი აქტიურად ვთანამშრომლობ შესაბამის რაიონულ გამგეობასთან.

2024 წლის იანვრიდან დღემდე ნაძალადევის რაიონში მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა. კაპიტალურად შეკეთდა შიდაკვარტალური გზები - 30334.7 კვ.მ, მიმდინარე/ ორმოული შეკეთება - 10618.5 კვ.მ, ხოლო საცხოვრებელი კორპუსის ეზოებში შეკეთდა 25386.20 კვ.მ ასფალტის საფარი, მოეწყო ბორდიური - 6669 გრძ.მ, ტროტუარი - 2716.3 კვ.მ, ბეტონის საფარი - 1968.0 კვ.მ, სანიაღვრე ქსელი - 629.3 გრძ.მ, სადრენაჟე ქსელი - 12 გრძ.მ, საყრდენი კედელი - 678.0 კუბ.მ, 160 ცალი ჭა. ასევე, გაწეულია საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები.

დაფინანსდა რაიონის იერსახის მოწესრიგების სამუშაოები (47 მისამართი); შესყიდულია 258 საპარკე სკამი; გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები (9 მისამართი); არსებული სკვერების აღდგენა-შეკეთების

სამუშაოები (40 მისამართი); კაუჩუკის მოედნიანი ახალი საბავშვო ატრაქციონების მიწოდების სამუშაოები (1 მისამართი); სკვერში შადრევნის მოწყობის სამუშაოები (1 მისამართი); გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები (7 კომპლექტი); სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები (5 ობიექტი);

სატრანსპორტო გზასთან ჩამოსასვლელი კიბეების მოწყობის სამუშაოები (5 მისამართი); ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედნების (10 მოედანი) მოწყობა-რეაბილიტაცია. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა პროგრამის ფარგლებში - დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ბრტყელი და ქანობიანი (72 სადარბაზო, 22126 კვ.მ) სახურავების შეკეთების სამუშაოები; წყალსაწრეტი მილების (63 სადარბაზო, 4661 გრძ.მ) შეკეთების სამუშაოები; შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის (52 სადარბაზო, 4744 გრძ.მ) სამუშაოები, ლიფტების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (31 სადარბაზო), ლიფტების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები (9 სადარბაზო), შენობის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები (2 მისამართი); სადარბაზოს სენსორული განათების სამუშაოები (14 სადარბაზო). გამგეობის სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 11744 ბენეფიციარს, მათ შორის: 1533 ბენეფიციარმა ჩაიტარა მკურნალობის (მკურნალობა, გამოკვლევა, ოპერაცია და სხვა) კურსი სხვადასხვა კლინიკებში, ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია 1686 ბენეფიციარს, მედიკამენტების შეძენა - 1554 ბენეფიციარს დაუფინანსდა, სამშენებლო მასალებით დახმარება - 249 ბენეფიციარს, სარიტუალო მომსახურება გაეწია სოციალურად დაუცველი 302 გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 6420 ბენეფიციარისთვის შეძენილი იქნა სასაჩუქრე ნობათი. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 13.2 ათასი ლარი, 2023 წლის 28 დეკემბერს, მუხრანის ქ.№15-ში მომხდარი ძლიერი ქარის შედეგად, 2024 წლის 7 მაისს, ჭ. ლომთაძის ქუჩა, პირველი ჩიხი, №18-ში მომხდარი ძლიერი წვიმის შედეგად, 26 მაისს, ძლიერი წვიმის შედეგად, მიწის ჩამოშლის გამო, კვერნაულის ქუჩა №13-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში, 26 მაისს, ძლიერი წვიმის შედეგად, ჩარგლის ქუჩა №67-ში ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე არსებული შენობის სახურავის ჩამოშლის გამო, ამავე შენობაში თვითნებურად მცხოვრები ოჯახისათვის და 27 მაისს, ძლიერი წვიმის შედეგად, მიწის ჩამოშლის გამო, კოკინაკის ქუჩა №23-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში დაზარალებული და თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახებისათვის დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, სასტუმროს მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

პატივისცემით,
ირაკლი ხელაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი